მაისი 2023

# საზოგადოების განწყობა საქართველოში

## 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები

ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

# კვლევის მიზანი

• ხელი შეუწყოს საქართველოში მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა და მმართველობის განვითარებას;

• დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გამოავლინონ და გადაჭრან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული დონის პრობლემები: ეკონომიკა, ინსტიტუტები, საგარეო პოლიტიკა, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა და სხვა.

## 2023 წლის მარტის სატელეფონო გამოკითხვა

- **საველე სამუშაოების თარიღები**: 17-23 მარტი, 2023
- 1,032 **დასრულებული ინტერვიუ (14% გამოპასუხება)**
- **საშუალო ცდომილების ზღვარი** +/- 2%
- შენიშვნა: ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა პასუხის მიხედვით
- კვლევა ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით
- ახალი მონაცემების კვლევის წინა ტალღებთან შედარებისას გაითვალისწინეთ: ინტერვიუს მეთოდის ცვლილება, შესაძლოა, ცდომილებაზე აისახოს.

**შენიშვნა: 2023 წლის მარტის, 2022 წლის მარტის და თებერვლის, 2021 წლის დეკემბრის, ივლისის და თებერვლის, 2020 წლის აგვისტოს და დეკემბრის გამოკითხვები ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით.**

## შერჩევა

- ყველა ინტერვიუ ჩატარდა **სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით**.
- რესპონდენტები მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით - **შემთხვევით ნომერზე დარეკვის მეთოდით** შეირჩნენ.
- ინტერვიუები ჩატარდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.
- კვლევა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის წარმომადგენლობითია (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გარდა ამისა, კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

**ხარისხის კონტროლი**

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს.
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს.

## ძირითადი მიგნებები

- საქართველოს მოქალაქეები კვლავ მტკიცედ უჭერენ მხარს ევროკავშირთან ახლო პოლიტიკურ (54 პროცენტი) და ეკონომიკურ (52 პროცენტი) თანამშრომლობას. თუმცა, ასეთი მისწრაფებების მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, საქართველოს მთავრობა ქვეყნის ევროკავშირში გასაწევრიანებლად საკმარისს არ აკეთებს.

- უახლესი კვლევა ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის დაბალ ნდობაზეც მიუთითებს. მოქალაქეების 64 პროცენტი ამბობს, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან მათ ინტერესებს არცერთი არ წარმოადგენს. აღნიშნული მოსაზრება კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერთა შორისაც გამოიკვეთა: ქართული ოცნების მხარდამჭერთა 14 პროცენტი და ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა 36 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათ ინტერესებს არცერთი პოლიტიკური პარტია არ წარმოადგენს. პარტიების მიმართ სკეპტიკური განწყობა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში გამოიკვეთა - მათგან მხოლოდ 15 პროცენტი ამბობს, რომ ერთი პოლიტიკური პარტია მაინც ეხმიანება მათ ინტერესებს.

# ძირითადი მიგნებები

- ამავე კვლევის თანახმად, უმრავლესობის აზრით, პარლამენტი მოსახლეობის საჭიროებებს არ პასუხობს. მოსახლეობის ნახევარი (49 პროცენტი) მიიჩნევს, რომ პარლამენტი არ იღებს კანონებს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მეტიც, მხოლოდ მესამედი ამბობს, რომ საკანონმდებლო ორგანო რეგულარულად ეკონტაქტება მოქალაქეებს.

- ყოველი მეორე მოქალაქე (51 პროცენტი) ამბობს, რომ არცერთ ქართულ ტელეარხს არ ენდობა, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა 2019 წლის შემდეგ, როცა ეს მაჩვენებელი 20 პროცენტს შეადგენდა.

- კვლევის მონაცემები პოლიტიკაში მეტი ქალის მონაწილეობის სურვილზეც მიუთითებს. ეს დასტურია იმისა, რომ მოქალაქეებს პოლიტიკურ დისკურსში და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა სურთ. 2014 წელთან შედარებით, გაზრდილია იმ ადამიანების რაოდენობა (48 პროცენტიდან 56 პროცენტამდე) ვინც ფიქრობს, რომ ქალი და კაცი პოლიტიკოსები ერთნაირად წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ახლა ნაკლები ადამიანი (მხოლოდ 16 პროცენტი) მიიჩნევს, რომ კაცი პოლიტიკოსები ქალებზე უკეთ წარმოადგენენ მოქალაქეების ინტერესებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პარლამენტში ქალებისა და კაცების თანაბარ გადანაწილებას სულ უფრო მეტი ადამიანი ემხრობა.

# თავი I

- ქვეყნის მიმართულება
- დემოკრატია

# მოსახლეობის აზრი გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით ვითარდება ქვეყანა

## განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (%)




ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით ყველაზე კრიტიკულად თბილისის მცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები არიან განწყობილნი.

# მოსაზრება, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება ყველაზე მეტად სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირდა

## განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q6)

მათი წილი, ვინც ამბობს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება



# გასულ წელთან შედარებით, მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ საქართველო დემოკრატიულია

## თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q7)




პასუხები სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფის მიხედვით არ განსხვავდება.

# მათი წილი ვინც საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევს ყველაზე მეტად ქართული ოცნების მხარდამჭერებსა და თბილისის მოსახლეობას შორის გაიზარდა

## თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q7)

მათი წილი, ვინც ამბობს, რომ საქართველო ამჟამად არის დემოკრატია



# თავი II

➔ ეროვნული პრიორიტეტები

# ფასების ზრდა, სამუშაო ადგილები და სიღარიბე კვლავ ყველაზე დიდი გამოწვევებია

პასუხები სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფის მიხედვით არ განსხვავდება.

## რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q18)



# ყოველი მეორე მოქალაქე საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას ‘ცუდად’ აფასებს

თბილისელები და ოპოზიციის მხარდამჭერები ეკონომიკის მდგომარეობას სხვებზე უფრო კრიტიკულად აფასებენ.

გთხოვთ, შეაფასოთ საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა. (q19)



# მოსახლეობის ნახევარს ეჭვი ეპარება, რომ მთავრობა ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას შეძლებს

ქართული ოცნებისა და ოპოზიციის მხარდამჭერებს/გადაუწყვეტელ ამომრჩევლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება.



# უმრავლესობა ამბობს, რომ ახლა იგივე ან ნაკლები ფინანსური შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ხუთი წლის წინ

ქართული ოცნების მხარდამჭერები და ახალგაზრდები უფრო მეტად ამბობენ, რომ 5 წლის წინანდელთან შედარებით ახლა მეტი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ.

## თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობაზე თუ დაფიქრდებით, 5 წლის წინანდელთან შედარებით, ახლა უფრო მეტი, იგივე თუ ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები გაქვთ? (q21)



# თითქმის ყოველ მეექვსე მოქალაქეს ჰყავს უცხოეთში მცხოვრები ოჯახის წევრი, რომელიც მას რეგულარულად უგზავნის ფულს

## გყავთ თუ არა ოჯახის წევრი რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ მუშაობს და რეგულარულად უგზავნის ფულს თქვენს ოჯახს? (q3)



# ყოველი მეექვსე მოქალაქე ემიგრაციაში წასვლაზე ფიქრობს

## რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში თქვენ სამუშაოდ საზღვარგარეთ წახვალთ? (q4)




ქვეყნის დატოვების სურვილი შედარებით მაღალია ახალგაზრდა მოქალაქეებსა და კაცებს შორის.

# თავი III

➔ ინსტიტუტები

# მთავრობის საქმიანობის შეფასების დადებითი მაჩვენებელი შემცირებულია

## გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q8)




მთავრობის საქმიანობის მიმართ ყველაზე კრიტიკულად ახალგაზრდა მოქალაქეები და ოპოზიციის მხარდამჭერები არიან განწყობილნი.

# მთავრობის შეფასება გაუარესებულია ახალგაზრდებს შორის და სოფლის ტიპის დასახლებებში

## გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q8)

მათი წილი, ვინც მთავრობის საქმიანობას კარგად აფასებს



პრეზიდენტისა და პრემიერის საქმიანობის შეფასება სტაბილურია.

პარლამენტის საქმიანობის ნეგატიური შეფასება კი ოდნავ გაიზარდა

## გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას? (q6)



# პრეზიდენტის საქმიანობის შეფასების დადებითი მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ახალგაზრდებსა და ქართული ოცნების მხარდამჭერებს შორისაა

## გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საქმიანობას? (q11_2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდამჭერის მიხედვით)



# პრემიერის საქმიანობის შეფასების დადებითი მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სოფლის ტიპის დასახლებებში, 55+ ასაკის მოსახლეობასა და ქართული ოცნების მხარდამჭერებს შორისაა

## გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას? (q11_3 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# პარლამენტისადმი დამოკიდებულება პარტიულ სიმპათიებთან არის კავშირში

## გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პარლამენტის საქმიანობას? (q11_1 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდამჭერის მიხედვით)




ქართული ოცნების მხარდამჭერთა უმეტესობა პარლამენტის საქმიანობას დადებითად აფასებს, ხოლო ოპოზიციის მხარდამჭერთა უმრავლესობა - უარყოფითად.

# მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, პარლამენტის წევრები მათნაირი ადამიანების შეხედულებებს არ ითვალისწინებენ

## გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ პარლამენტის წევრები ითვალისწინებენ თქვენნაირი ადამიანების შეხედულებებს? (q15)




აღნიშნული მოსაზრება ყველა დემოგრაფიულ ჯგუფზე ვრცელდება. გამონაკლისი ქართული ოცნების მხარდამჭერები არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარლამენტის წევრები მათნაირი ადამიანების ინტერესებს ემსახურებიან.

# უმეტესობა ფიქრობს, რომ პარლამენტი თავის ფუნქციებს ეფექტურად ვერ ასრულებს

## გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q16)



ქართული ოცნების მხარდამჭერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პარლამენტი მთავრობას ეფექტურად უწევს ზედამხედველობას; დანარჩენი მოსახლეობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს

## გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს – პარლამენტი ეფექტურად უწევს ზედამხედველობას მთავრობის (სამინისტროების) საქმიანობას? (q16_3 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# ქართული ოცნების მხარდამჭერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პარლამენტი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობს;  დანარჩენი მოსახლეობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს

## გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს – პარლამენტი ამტკიცებს კანონებს ჩემთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ? (q16_2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ქართული ოცნების მხარდამჭერთა უმრავლესობა მიიჩნევს,
რომ პარლამენტი რეგულარულად ეკონტაქტება მოქალაქეებს; დანარჩენი მოსახლეობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს

## გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს – პარლამენტი რეგულარულად ეკონტაქტება მოქალაქეებს? (q16_1 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდამჭერის მიხედვით)



# თავი IV

➔ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

# 2014 წელთან შედარებით, ახლა მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ ქალი და კაცი პოლიტიკოსები ერთნაირად წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ამასთან, ნაკლები ადამიანი მიიჩნევს, რომ კაცი პოლიტიკოსები ქალებზე უკეთ წარმოადგენენ მოქალაქეების ინტერესებს

ქალები და ოპოზიციის მხარდამჭერები მეტად ფიქრობენ, რომ ქალი პოლიტიკოსები მათ ინტერესებს კაცებზე უკეთ წარმოაჩენენ.

იკვეთება განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებშიც: 18-34 წლის მოქალაქეები უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ ქალი და კაცი პოლიტიკოსები მათ ინტერესებს ერთნაირად წარმოადგენენ.

## ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას ეთანხმებით? (q13)



# მოქალაქეები უფრო და უფრო უჭერენ მხარს საპარლამენტო ცხოვრებაში ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას

პარლამენტში ქალებისა და კაცების თანაბარ წარმომადგენლობას ყველაზე მეტად ახალგაზრდები და ქალები უჭერენ მხარს.

## თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა ქალი და კაცი პარლამენტარების საუკეთესო გადანაწილება პარლამენტში? (q17)



# თავი V

➔ პოლიტიკური პარტიები

# მოსახლეობის რეკორდულად დაბალი რაოდენობა - 24% ფიქრობს, რომ ქვეყანაში ერთი პოლიტიკური პარტია მაინც არსებობს, რომელიც მის ინტერესებს წარმოადგენს

ქართული ოცნების მხარდამჭერთა 14 პროცენტი და ოპოზიციის მხარდამჭერთა 36 პროცენტი ამბობს, რომ მათ ინტერესებს არცერთი პარტია არ წარმოადგენს.

ახალგაზრდები (18-34 წლის მოსახლეობა) განსაკუთრებული სკეპტიკურობით გამოირჩევიან.

## ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ? (q9)



გასულ წელთან შედარებით, ქართული ოცნების მხარდამჭერებს შორის გაიზარდა იმ ადამიანების წილი ვინც ფიქრობს, რომ ქვეყანაში ერთი პოლიტიკური პარტია მაინც არსებობს, რომელიც მათ ინტერესებს წარმოადგენს

## თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში ერთი პარტია მაინც, რომელიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს? (q9)

მათი წილი, ვინც ამბობს, რომ ერთი პარტია მაინც გამოხატავს მათ ინტერესებს



# მოსახლეობის თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ ქართული ოცნება ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს; კიდევ უფრო მეტი ამბობს ამავეს არჩეულ ოპოზიციურ პარტიებზე



მოსახლეობის თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ ქართული ოცნება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს; კიდევ უფრო მეტი ამბობს ამავეს არჩეულ ოპოზიციურ პარტიებზე

## ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q12)



# ოპოზიციის მხარდამჭერთა ნახევარი ფიქრობს, რომ არჩეული ოპოზიციური პარტიები ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებენ

აღსანიშნავია, რომ ქართული ოცნების მხარდამჭერთა მეხუთედი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

## ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს – პარლამენტში და ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩეული ოპოზიციური პარტიები ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ? (q12_1 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# საინტერესოა, რომ ყოველი მეხუთე ოპოზიციის მხარდამჭერი და გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ფიქრობს, რომ ქართული ოცნება ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს

## ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს – მმართველი პარტია ქართული ოცნება ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს? (q12_2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# უმეტესობა კვლავ პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

## საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პოლიტიკური პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? ღია კითხვა (q10)




მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

# ქართული ოცნების მხარდაჭერა ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში შედარებით დაბალია

## საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პოლიტიკური პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? ღია კითხვა (q10 X ასაკის მიხედვით)



# ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, უმეტესობამ არ იცის, ვის მისცემდა ხმას

მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც ხმას მისცემდნენ საპარლამენტო არჩვენები ხვალ რომ ტარდებოდეს.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

## ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? ღია კითხვა (q37)



# უმეტესობა კვლავ პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

## რომელი პოლიტიკური პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? X ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? ღია კითხვა (q10, q37)




მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას ან რომელსაც ხმას მისცემდა საპარლამენტო არჩევნები ხვალ რომ ტარდებოდეს.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

# თავი VI

➔ საგარეო ურთიერთობები

# საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობის სურვილი მნიშვნელოვნად გაიზარდა

ევროკავშირთან პოლიტიკური თანამშრომლობის სურვილი ყველაზე მაღალი თბილისის მოსახლეობასა და ახალგაზრდა ასაკობრივ კატეგორიაშია.

პარტიული პრეფერენციების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება.

## რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q29) ნაწილი 1



# ევროკავშირთან მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობის სურვილი განსაკუთრებით თბილისისა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებში და ახალგაზრდებში გაიზარდა

## რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა? (q29)

მათი წილი, ვინც ევროკავშირი დაასახელა



# რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკურ თანამშრომლობას კაცები უფრო ემხრობიან, ვიდრე ქალები

**რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა? გთხოვთ, დაასახელოთ არა უმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q29 X სქესის მიხედვით) ნაწილი 1**



# საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის სურვილი მნიშვნელოვნად გაიზარდა

ევროკავშირთან პოლიტიკური თანამშრომლობის სურვილი ყველაზე მაღალია თბილისის მოსახლეობასა და ახალგაზრდა ასაკობრივ კატეგორიაში.

პარტიული პრეფერენციების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება

## რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა? არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q30) ნაწილი 1



# რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას კაცები უფრო ემხრობიან, ვიდრე ქალები

## რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა? გთხოვთ, დაასახელოთ არა უმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q30 X სქესის მიხედვით) ნაწილი 1



# მოქალაქეების უმრავლესობას ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან სურს

**რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური/ეკონომიკური თანამშრომლობა?** არაუმეტეს სამი პასუხისა. ღია კითხვა (q29, q30) ნაწილი 1



# ევროკავშირის მხარდაჭერა კვლავ მაღალია, რაც საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ევროკავშირში გაწევრიანების ურყევ სურვილზე მიუთითებს

## მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q31)




ევროკავშირის მხარდაჭერის მაჩვენებელი ყველა დემოგრაფიულ კატეგორიაში მაღალია.

# უმრავლესობა კვლავაც ფიქრობს, რომ მთავრობა საკმარისს არ აკეთებს ან არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდეს

## მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q32)



# უფროსი ასაკის მოქალაქეებს უფრო მეტად სჯერათ, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდეს

## მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q32 X ასაკის მიხედვით)




ახალგაზრდა მოქალაქეები მთავრობას ძალისხმევის ნაკლებობის გამო აკრიტიკებენ.

# ქართული ოცნების მხარდამჭერთა მესამედი არ არის დარწმუნებული, რომ მთავრობა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ყველაფერს აკეთებს

## მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q32 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



# ნატოს მხარდაჭერა სტაბილურად მაღალია

ნატოს მხარდაჭერა განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებს შორის.

## მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატოს წევრი? (q33)



# უმრავლესობას რუსეთთან ახლო ურთიერთობას ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ურჩევნია

## გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q34)



# სხვა ჯგუფებთან შედარებით, ქართული ოცნების მხარდამჭერები ნაკლებად ხედავენ სარგებელს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაში

## გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q34 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



# უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა შეზღუდოს ან ისე დატოვოს, როგორც არის

ქალები, ახალგაზრდები და ოპოზიციის მხარდამჭერები უფრო მეტად უჭერენ მხარს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას.

## რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით: (q35)



# ახალგაზრდები უფრო მეტად უჭერენ მხარს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას

## რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით: (q35 X ასაკის მიხედვით)



# ქალები უფრო მეტად უჭერენ მხარს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას, ვიდრე კაცები



# ოპოზიციის მხარდამჭერები, ქართული ოცნების მხარდამჭერებთან შედარებით, უფრო მეტად უჭერენ მხარს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას

## რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით: (q35 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



# თავი VII

➔ მედია

# მოსახლეობის უმრავლესობა არცერთ ტელეარხს არ ენდობა

## ყველაზე მეტად რომელ არხს ენდობით პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო ინფორმაციის მისაღებად? ღია კითხვა (q5)



# 2019 წელთან შედარებით, გაორმაგდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც არცერთ არხს არ ენდობა



# ახალგაზრდები ტელევიზიების მიმართ უნდობლობით გამოირჩევიან, ხოლო 55+ ასაკის მოსახლეობა უპირატესობას ტვ იმედს ანიჭებს

## ყველაზე მეტად რომელ არხს ენდობით პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო ინფორმაციის მისაღებად? ღია კითხვა (q5 X ასაკის მიხედვით)



ქართული ოცნების მხარდამჭერთა ნახევარი ტვ იმედს ენდობა.

თუმცა,

მმართველი პარტიის მხარდამჭერთა მეორე ნახევარი ან სხვა არხებს ენდობა, ან - არცერთს.

გადაუწყვეტელ ამომრჩეველთა უმრავლესობა და ოპოზიციის მხარდამჭერთა მესამედი არცერთ ტელეარხს არ ენდობა.

## ყველაზე მეტად რომელ არხს ენდობით პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო ინფორმაციის მისაღებად? ღია კითხვა (q5 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

## NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

- → WWW.NDI.ORG/GEORGIA-POLLS
- → WW.CAUCASUSBAROMETER.ORG